

ნიადაგების მორფოლოგიის შესწავლის თანამედროვე მიდგომები ქვემო
ქართლის ნიადაგების მაგალითზე
ელენე ნიკოლაიშვილი
ელ-ფოსტა: elene.nikolaishvili@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, თსუ, ჭავჭავაძის გამზირი №3, საქართველო, თბილისი 0128

ნიადაგების თანამედროვე კლასიფიკაციისათვის საჭირო გახდა ჩატარებულიყო ნიადაგების თანამედროვე სავსე კვლევა. ფ ა ო-სა და გერმანული სტანდარტების მიხედვით შეიქმნა „ნიადაგის აღწერის, კლასიფიკაციის და შეფასების“ სახელმძღვანელო.მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა საქართველოში უახლესი მეთოდებით ჩატარებულიყო ნიადაგების სავსე კვლევა.

კვლევის მთავარი არსი არის კოდირების თანამედროვე სისტემა,რომლის საშუალებითაც სავსე პირობებში მოპოვებული მასალა განთავსდება ნიადაგების საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში. კოდირების ათვისება აუცილებელი ეტაპია იმ სამუშაოების შესასრულებლად, რასაც საქართველოს ნიადაგების ხარისხობრივი შეფასება ჰქვია და რომელიც განხორციელდა გერმანელი კოლეგების დახმარებით და ხელშეწყობით. მიღებული მონაცემების საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში განთავსების შემდეგ ხდება მსოფლიო ნიადაგური რესურსების რეფერენტულ ბაზაში (WRB for soil Resources) საქართველოს ნიადაგების წარდგენა.

WRB წარმოადგენს ნიადაგების საერთაშორისო კორელაციაში დამაკავშირებელ ხიდს სხვადასხვა ქვეყნის ნიადაგმცოდნეებს შორის.ის არ ცდილობს შეცვალოს ეროვნული ნიადაგური კლასიფიკაციები, რომლებიც დეტალურად არიან შესწავლილნი და ასახავენ ეროვნული ნიადაგური საფარის თავისებურებებს. ის მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის ნიადაგმცოდნეების საკომუნიკაციო ენაა,რომლის არ არსებობის შემთხვევაში გაჭირდება მსოფლიო მეცნიერებს შორის ურთიერთობა.